საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის

ბრძანება №7121
2026 წლის 24 თებერვალი

ქ. თბილისი

**„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნულ სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2018 წლის 25 იანვრის №2880 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნულ სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2018 წლის 25 იანვრის №2880 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი (www.matsne.gov.ge), 25.01.2018 წ.; სარეგისტრაციო კოდი: 140080000.42.047.016048) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №1-ის („სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნულ სამოქალაქო პირთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების, იერარქიული რანგების და კოეფიციენტების ნუსხა სამსახურის საშტატო ნუსხისა და სტრუქტურული დანაყოფების მიხედვით“) მე-3 პუნქტს („სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი“) დაემატოს შემდეგი რედაქციის „$თ^1$“ ქვეპუნქტი:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| $თ^1$) | ჯგუფის უფროსი (საბრძოლო მიმართულების) | 3840 (I კატეგორია) | 3/4 | 2.4 |
| | | 3680 (II კატეგორია) | | 2.3 |
| | | 3360 (III კატეგორია) | | 2.1 |

“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური
სამსახურის უფროსი

ანზორ ჩუბინიძე